# სახალხო გაზეთი

№ 1005 კვირა, 29 სექტემბერი 1913 წ. № 1005

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **2 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 5.

**კვირას, 29 სექტემბერს,** ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ქართულ სცენაზე**

## დედაკაცი და დედა,

პიესა 3 მოქ. ნეპოტისა, თარგ. სანდალასი.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, დავითაშვილი, თოიძე, საღარაძე, ქქოძე. ბ-ნნი: არადელი-იმხნელი, ბარველი, იმედაშვილი, ხონელი.

**დასაწყ. სახ. 8 ს.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. ქორელი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება წარმოსადგ: ლაბირინტი, კულტურული მკვლელობა, მორევში, ზამთრის სიზმარი, ოიდიპოს მეფე და სხ. 2473

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

კვირას, 29 სექტემბერს, გაიმართება

## ლიტერატურულ-მუსიკალური დილა

**შემდეგის პროგრამით:**

I. **ლექცია მ. წულუკიძისა:** „ს. აბაშელი და მისი „მზის სიცილი".

II. მუსიკალური განყოფილება: **ქ-ნი ალექსანდრა ლუცენკო და დავით აკოფაშვილი** იმღერებენ სხვა და სხვა რომანსებს; **დავით აკოფაშვილი** იმღერებს ქართულადაც.

III. **ლიტერატურული განყოფილება,** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: **ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ი. მჭედლიშვილი და ნ. გოცირიძე.**

აკომპანიმენტი **ო. ყანჩელისა.** ადგილების ფასები:

დასაწყისი 1 საათზე. 1 მან.—5 კაპ. 1507

---

**პირველ-ხარისხოვანი**



## დიდი ცირკი
## ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 29 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება**

## ორი დიდი წარმოდგენა

დღით განსაკუთრებით ბავშვებისთვის და მოწაფეებისათვის. თავშესაფარის ბავშვებს უფასოდ იწვევენ. **დასაწყისი 2½ საათზე. სადამოთი: დასაწყისი 8 საათზე.** უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის,ველოსიპედზე შეუდარებელის მოსიარულის, ვირტუოზის **ჩისტერ დიკისა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის მიუწდომელ ნომრებს. სანახაობათა-სანახაობა! უდიდესი ატრაქციონი! ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველაგან ფუროორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშისცემა! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ"-ზე ვარჯიში. ჩისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ ,,საბედისწერო გადახტომა"—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თავში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ სადამოსვე მონაწილეობს ,,4 ეშმაკი" და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. მესამე გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯირითე ლამაზი ქალის m-le ნაცისა. დაწვრილებით აფიშებში, დებიუტი ახლად მოსული ცნობილი კლოუნის კ. დურაშკინისა, რომელიც ყველგან დიდი სახელით სარგებლობს. დღეისთვის კონტრამარკები არ გამოდგება.

გამოსვლა 4 ეშმაკისა მე-2 განყოფილებაში, რომელიც იწყება 9 ნახევარ საათზე, ჩესტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 ნახევარ საათ.

**ა ნ ო ნ ს ი.** დღეს, ორი დიდი წარმოდგენაა. დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 661

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

პწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარქევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,606"და ,,914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

## გაფრთხილება!

ПОСТАВЩ. ДВОРА Е.И.В. ВЕЛ. КН. НИКОЛАЯ МИХАЙЛОВИЧА

ЗАЯВ. ОТД. ПРОМЫШЛ. ФАБРИЧ. ЗНАКЪ

ზოგი კეთილსინიდისიერ კონკურენციას წვრილ მწარმოებელთა ჩვეულებად აქვს ხოლმე სხვისი ეტიკეტების მითვისება ხალხში თავიანთ ნაწარმოებთა გასავრცელებლად. სწორედ ასეთი საქმე მოსდის ჩვენი ფირმის პაპიროსებს, განსაკუთრებით ძლიერ გავრცელებულ

,,სიმპატიასა" და ,,დრუჟბას",

რადგან ჩვენი ეტიკეტების გადაკეთებას დასასრული არ უჩანს, და მით

მყიდველები შეცდომაში შეჰყავთ,

ვსთხოვ მუშტრებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის

ნ ი შ ა ნ ს ა დ ა გ ვ ა რ ს:

,,სავაჭ. სახ. ნ. ი. ბოზარჯიანცი შვ-ებით".

ყალბი ეტიკეტების გამავრცელებელნი კანონით სასტიკად დაისჯებიან. 1496

---

## ავლაბრის სახალხო თეატრი

**კვირას, 29 სექტემბერს, 1913 წ.**

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

## მემკობრობა დრამა 4 მოქ. შიუკაშვილისა.

მონაწილეობას ღებულობს წრის მთელი დასი. **დასაწყ. სად. 8 ს.** ადგილების ფასი 4—50 კ. ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

1490 რეჟისორი **ი. ივანიძე.** მორიგი გამგე **ვ. თუშმელაშვილი.**

---

ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის

## გამგეობა

იწვევს წევრებს საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 6 ოქტომბერს, შუადღ. თორმეტ საათზე ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

გამგეობა სთხოვს საზოგადოების წევრებს კრებამდე შემოიტანონ საწევრო ფული გამგეობის წევრთან ისიდორე ხარატიშვილთან.

1481 მდივანი გამგეობისა ის. ვარაზაშვილი.

---

## საზოგადოება „კახეთი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

**სამშაბათს, 22 ოქტომბერს,**

მდგომარე 1913 წლის, საზოგადოების სადგომში **(გოგოლის ქუჩა 63), დილის თერთმეტ საათზე, დანიშნულია**

## საგანგებო კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) **ინსტრუქცია ღვინის დაფასება მიღებისა,**
2) **წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა**
და 3) **შიდა ადმინისტრატიულ წესების მოგვარებისა.** 1494

---

## დაიბეჭდა და იყიდება

**მოსწავლეთათვის საჭირო წიგნი**

### მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა

**მრავალი სურათით.** შედგენილი ალექსი ჭიჭინაძის მიერ. ფასი 35 კაპ.

(დაეთმობათ ნაკლებად ვინც ათზე მეტს იყიდის)

**იყიდება ტფილისში მ ხ ო ლ ო დ ჯეჯილის რედაქციაში.**

(არტილერიის ქუჩა). 1503

---

## აგენტმა
## ივანე გრიგოლის ძემ
## ხალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინიდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას.

მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერსა. ტელეფონი 697. 1493

---

## ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები
## ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწათ-მზომელო, საალმშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული, სამიწათ-მზომელო და საალმშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. **მეცადინეობა 1 ოქტომბერს** დაიწყება. პროგრამისა და პირობებისათვის საჭიროა 4 შვიდ-კაპეკიანი მარკა. პირადად მოლაპარაკება შეიძლება სადამ. 4—8 ს., **დუშეთის ქ. № 4, ბინა მე-2.** 647.

---

## მ უ ზ ე უ მ ი
## კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტთან.

მუზეუმი ღიაა დასათვალიერებლად სამჯერ კვირაში' კვირას, ოთხშაბათს და პარასკევს, 11 საათიდან ნაშუადღევ. 1 საათამდე. მუზეუმი იმყოფება მუშტაიდის ბაღში, სახაზინო სახლში. მუზეუმთან არის საწყობი დამზადებულ შინა-მრეწველობის ნაწარმოებისა, საღებავი წამალი, დაზგები და ხელსაწყობი. აქვე ვ მზადებთ, მუზეუმში გამოფენილ ნახატებსა და ნიმუშების ასლებს. 662

---

## მოსწიეთ ახალი
## პაპიროსები
## ნ ა ი ვ ა

ამხ.

## „პოემა"

ტფილისი

20 ცალი 6 კაპ. 10 ც. 3 კაპ. 1497

---

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა. № 12. **იქვე განმართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3. ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან სადამოს 5 ს.-დე.

**ახვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოჟეევსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ხ. საათ.

**ახპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეიბაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკოვე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი' აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა ,,606"-ით 1462

---

## საზურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

---

**ელექტრონის და რენტგენის**

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., სადამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. №20. წ. 1028

---

**ექიმი ივ. გომართელი** ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. სად. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.

დოქტორი მედიცინისა
**გ. ა. ახვერდოვი,**
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა-კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., სად. 6—8 ს. სემინარიის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემინ. ქ., № 16. 159

**ექიმი** პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. ულ. მაკრის ავადმყ. სიმსუქნე, ლითონზა, ჭარბები) ელექტ. და დამპალი ციება პარიზული კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., სად. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი
**ი. ზ. გძელიშვილი**
სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.
19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

**ექიმი** ი. ი. გერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

საზაფხულო **ახალი კლუბი** შენობა
კვირას, 29 სექტემბერს,
**სინემატოგრაფი**
დასაწყ. საღ. 9 ს. ლოჟები ცესასვლელად ჩვეულებრივ ფასს იხდიან.

# ტერიტორიის საკითხი

1.

დღეს ტერიტორიაზე ისე ხშირად აღარა სჯელიან, როგორც აქ რამდენისამე წლის წინად: მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს ტერიტორიის საკითხს თავისი მწვავე ხასიათი დაეკარგოს. პირ-იქით, რაც მეტი დრო გადის, უფრო ცხადი ხდება ყველასთვის, რომ ტერიტორიის საკითხი ერთი უმთავრესი საკითხთაგანია, რომ მის მოწესრიგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საქართველოს პოლიტიკურ ბედის გადაწყვეტის დროს. გარდა ამისა, ცხადი გახადა, რომ მიწა, ტერიტორია ჩვენთვის საჭიროა არა როგორც მხოლოდ ფონდი ეკონომიური კეთილ-დღეობისა, არამედ როგორც საფუძველი საქართველოს შესაძლებელ პოლიტიკურ გაახლებისა. იყო დრო, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ბედ-იღბალი არავის აინტერესებდა. არამც თუ რუსეთის საზოგადოება, თვით ჩვენსავე წიაღში დაბადებული სოციალ-დემოკრატები უარჰყოფდნენ საქართველოს, როგორც განსაზღვრულს ერთეულს და ამ მხრით აზროვნებით უთანასწორდებოდნენ რუსის მმართველ წრეებს, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ და ცდილობდნენ, რომ სიტყვა საქართველო სრულიად აღმოფხვრილიყო რუსეთის პოლიტიკურ ლექსიკონიდან. მაშინ სოციალ-დემოკრატებისთვის საქართველო არ არსებობდა. იყო მხოლოდ ბიუროკრატიულის წესით ხელოვნურად დაყოფილი გუბერნიები, რომელთაც ისტორიულად შედუღებულ ერთეულის ადგილი უნდა დაეჭირა. იყვნენ კონკრეტული ქართველები,—მაღლა, ელიზბარი, ვახტანგი,—რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ **მხოლოდ** კლასიური ინტერესით. ეს იყო სწორედ იანა იმ ნიჰილისტურ აზროვნებისა, რომელსაც ანდერძი აუგო თავის ფელეტონებში ბ-მა ნარიძემ. ამისთანა დროს, რა თქმა უნდა, მიწის საკითხსაც სულ სხვანაირად სწყვეტდნენ. მიწას უცქეროდნენ როგორც ცხოვრების სასარს, ტერიტორია მხოლოდ მიწის ფონდის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი. ნიჰილისტური აზროვნების ბეჭედი აზის იმ რეზოლუციებსაც, რომლებიც გამოჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს მიწის საკითხის შესახებ. დღეს სურათი არსებითად შეიცვალა. ორიოდ-სამიოდ გაფანატიკოსებულ სოციალ-დემოკრატის გარდა, ვეღარ ნახავთ ისეთს ადამიანს, რომელიც ტერიტორიას პოლიტიკურ ინტერესების თვალსაზრისითაც არ უცქეროდეს. ეს ადგილი ასახსნელიცაა. იქ, სადაც ფეხს იკიდებს იდეა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიისა, ტერიტორიის საკითხსაც უსათუოდ პოლიტიკური ხასიათი ეძლევა. იქ, სადაც მკვიდრდება აზრი, რომ არსებობს საქართველო თავისი განსაკუთრებული ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესებით, მწვავე ხასიათს იღებს ტერიტორიის საკითხიც, როგორც საფუძველი და ქვა-კუთხედი ეროვნული განვითარებისა.

რუსეთის მმართველ წრეებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული და ეხლაც კარგად იციან, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიას ეროვნულ საკითხში და ერის გათვითცნობიერების საქმეში. ერი დაქსაქსული, ერი დაფანტული, ერი, მოკლებული მტკიცე საფუძველს, რომელსაც იძლევა ტერიტორია, აღარავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს იმ პოლიტიკისთვის, რომელსაც აწარმოებს გაბატონებული ბიუროკრატია. ამ უკანასკნელის გულისყური ყოველთვის იქითკენ იყო მიქცეული, რომ დაერღვია საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა, რომ ამით დეზორგანიზაცია შეეტანა ქართველთა ეროვნულ ცხოვრებაში და ამით მომავალშიაც კი შეუძლებელი გაეხადა საქართველოს პოლიტიკური საკითხის წამოყენება. ბიუროკრატიამ უფრო კარგად იცოდა, საიდან უნდა მოევლო საქართველოსთვის და როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ თვით ქართველებსაც კი ფსიხოლოგიურად განუხორციელებლად მოსჩვენებოდათ იდეა საქართველოს პოლიტიკური განახლებისა. სისტემატიურის პოლიტიკით ბიუროკრატია აწარმოებდა საქართველოს დენაციონალიზაციას, გადმოსახლების პოლიტიკით ჰსურდა გულის მღრღნელი ჭია გაეჩინა ქართველებისთვის. ამის იარაღად გამოიყენა არა მარტო რუსეთის შიდა გუბერნიის მცხოვრებლები, არამედ გერმანელებიც, ბერძნებიც და სომხებიც. კავკასიის ადგილობრივი უმაღლესი მთავრობა დიდის სიამოვნებით ურიგებდა მიწებს ყველას, ვინც კი საქართველოში გადმოსახლებს მოისურვებდა, ოღონდ კი საქართველოს ორგანიული მთლიანობა დარღვეულიყო და ეროვნული ფიზიონომია დაეკარგა.

ეს იყო დაფარული გულის ზრახვა კავკასიის უმაღლესი ჰთავრობისა და დღეს, როდესაც ეს პოლიტიკა საკმაოდ დაფასებული და გამოაშკარავებულია, ინტერნაციონალური დროშით შეიარაღებულ სოციალ-დემოკრატების ნაყოფი ბიუროკრატიული მოღვაწეობისა საქართველოს ავტონომიის საწინააღმდეგო არგუმენტად მოჰყავთ. ბიუროკრატიის მიზანი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. მისმა დიდი ხნის დაუღალავმა, მოხერხებულმა და სისტემატიურად წარმოებულმა პოლიტიკამ ისეთი პირობები შექმნა, რომ მთელი პოლიტიკური ჯგუფი საქართველოს გაკოტრებულად აცხადებს და ვეღარც კი წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ლაპარაკი საქართველოზე. რამდენიმე ათეული წლიწადი ამზადებდა ბიუროკრატია იმ ნიადაგს, რომელზედაც თვით ქართველთა სკეპტიციზმი უნდა აღმოცენებულიყო, და ჩვენც მართლაც მოწმენი გავხდით ამ სკეპტიციზმისა. აი, რასა სწერს ბ-ნი ნარიძე თავის ფელეტონებში: „საქართველო წარმოადგენს თუ არა ერთ ნაციონალურ ორგანიზმს? არა, არ წარმოადგენს. და მართლაც, საკმარისია მცხოვრებთა სტატისტიკური ცნობების გაცნობა, რომ ითქვას: საქართველო ამ მხრით არაფრით არ განირჩევა ავსტრიის პროვინციებიდან. 1897 წლის აღწერით საქართველოს საზღვრებში (ე. ი. ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, ბათომის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებში ცხოვრობენ 2,009273 სული, ამათში ქართველია 1.335,896, ე. ი. მცხოვრებთა ორი მესამედი ქართველია, ხოლო ერთი მესამედი კი არა—ქართველი. ეს არა ქართველები ყოველგან, გარდა ქუთაისის გუბერნიისა, შეადგენენ უმრავლესობას. მაგალითად ტფილისის გუბერნიაში ირიცხება 966,808 მცხოვრები, ამათში ქართველია 455,237, ბათომის ოლქში ირიცხება 144,584 მცხოვრები, ქართველია 63,011. ზაქათალის ოლქში ირიცხება 84,242, ამათში ქართველია 12,394, სოხუმისაში ირიცხება 106,179 მცხოვრები, ქართველია 25,873. ყველა ამ პროვინციაში ითვლება სულ 1.201,895 სული, ამათში ქართველია 556,015 სული, ე. ი. ნახევარზე ნაკლები. ცხადია საქართველოს ეს ნაწილები აღარ წარმოადგენენ დღეს ერთ ნაციონალურ მთელს, პირიქით, ამ პროვინციათა ავტონომიაში ქართველობა იქნება დაჩაგრული და დევნილი. და თუ ავტონომისტები მაინც თხოულობენ ავტონომიას, ეს იმიტომ, რომ მთელ თავის იმედს ამყარებენ ქუთაისის გუბერნიაზე... აშკარაა, საქართველოში ერთად ერთი ქუთაისის გუბერნია წარმოადგენს ნაციონალურ ორგანიზმს“.

გალაღებულმა და ამასთანავე ერთად იშვიათის თავხედობის პუბლიცისტმა ბ-მა ნარიძემ კალმის ერთის მოსმით საქართველოდან ამოშალა ქართლი, კახეთი და მთელი რიგი ისეთი პროვინციებისა რომელსაც პირ-აღებული მტერიც კი ვერ ჩამოაშორებს საქართველოს. ზემოდ-მოყვანილი ციფრები სრულიადაც არ გამოჰხატავს საქართველოს რეალურ სინამდვილეს და ორივე ტენდენციურად არის შედგენილი, როგორც სტატისტიკა იმ შავ-რაზმელი მწერლებისა, რომლებიც ამბობენ საქართველო აღარ არსებობსო. მაგრამ ამ ჟამად ჩვენ ეს საკითხი არ გვაინტერესებს. სხვა დროს ისევ დავუბრუნდებით ამ საკითხს და მაშინ დავინახავთ რომ საქართველო ქუთაისის გუბერნიით მხოლოდ ბ-ნ ნარიძის ავადმყოფ ფანტაზიაში ისაზღვრება.

ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის გარემოება, რომ დღეს ნარიძე და მისი თანამოაზრენი, საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ემყარებიან იმ საფუძველს, რომლის შესაქმნელადაც კავკასიის ბიუროკრატიამ დიდი შრომა გასწია. ბიუროკრატიას უნდოდა საქართველოს ორგანიული მთლიანობა დაერღვია და ბ-ნი ნარიძეც აცხადებს, აღარავითარი ორგანიული კავშირი არ არსებობსო. ბ-ნი ნარიძე და მისი თანამოაზრენი ადასტურებენ იმას, რაც ბიუროკრატიის იდუმალ გულის ზრახვას შეადგენდა, მაგრამ ცხოვრების სინამდვილე მალე დაუდასტურებს ბ-ნ ნარიძეს, რომ ჯერ ძალიან ადრეა საქართველოს დასამარება...

**არ. ჯ—შვილი.**

# ქართული პრესა

კოოპერატიული საქმე იმდენად სათუთია თავისი შინაგანი საქმით და ამასთანავე ერთად იმდენად აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისთვის, რომ შეგხებული ადამიანი ჯეროვანის ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს ყოველს ამ მხრით გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ქუთაისის კოოპერატიულ ამხანაგობის მარცხმა პრესა აალაპარაკა და ბუნებრივი შიში გამოიწვია. ამ საკითხის გამო გაზეთ „იმერეთში“ ბ-ნი გრ. გველესიანი სწერს:

„ვინ არ იცის, რა სათუთი მცენარეა კოოპერატიული იდეა? რამდენი სიფრთხილეა საჭირო, რომ ეს მშვენიერი, დიდად სასარგებლო იდეა არ დაიღუპოს? რამდენი ძალა, მხნეობა, დრო არის საჭირო მისთვის, რომ მან ხალხში ფეხი მოიკიდოს? რამდენი მტერი, ძლიერი მტერი ახვევია გარშემო ყოველს კოოპერატიულ დაწესებულებას? „პროგრესის“ დაცემა განა მომხმარებელი საზოგადოების მარტო ქუთაისში დაცემას ნიშნავს? ასეთი სამარცხვინო სიკვდილი განა დასამარება არ არის კოოპერატიული მოძრაობისა მთელს ჩვენ ქვეყანაში არა ერთი წლით, არამედ რამდენიმე ათეული წლით?“ ავტორს ჰგონია, რომ „პროგრესის“ დაღუპვა შედეგია არა კოოპერატიული იდეის უნიადაგობისა, არამედ ხელმძღვანელთა დაუდევრობისა, და ამიტომ საზოგადოებრივ მსჯავრსა თხოულობს.

„ვთხოულობთ საზოგადოებრივ მსჯავრს,—სწერს ბ-ნი გველესიანი,—არა იმიტომ, რომ ვისმე დასაჯა გვწადდეს. არა, მოვითხოვთ იმიტომ, რომ ჩვენი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი მოვალეობაა ყოველთვის ალვნიშნოთ ყოველი საზოგადოებრივი მოღალატეობა, ყოველი საზოგადოებრივი გაუტანლობა. ჩვენი მოვალეობაა, ყველას ყოველთვის მოვაგონოთ, რომ საზოგადო, სახალხო საქმეც პასუხისგების გარეშე არა სდგას, რომ მას თავისი უსასტიკესი კონტროლი ჰყავს—საზოგადოებრივი სინიდისი. ჩვენი მოვალეობაა, აღვზარდოთ ხალხი საზოგადო საქმეთა პატივისცემაში, რაიც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ყოველს საზოგადოებრივ დანაშაულს ვამხელთ საქვეყნოდ. ამ მოვალეობას ჩვენ მით უმეტეს ვგძნობთ, რომ საკითხი მეტად სერიოზულს, მნიშვნელოვან საქმეს ეხება—კოოპერაციის იდეის ასეთსა თუ ისეთ ბედ-ბედს ჩვენს ქვეყანაში“.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად დასტოვეს ამავე ფაკულტეტის კურს დამთავრებული **ჩვენი თანამემამულე აკაკი შანიძე.** ბ-ნი შანიძე მუშაობს ლინგვისტიურ განყოფილებაში.

✦ **იმავე ფაკულტეტზე დატოვებულია იოსებ ყიფშიძე,** რომელიც სპეციალურად იკვლევს მეგრულ ენას და რომლის დიდი შრომა: „მეგრული ქრესტომატია, მეგრული ენის გრამატიკა და ლექსიკონი“, დაახლოვებით 600 გვერდი, იანვრისათვის მზად იქნება.

✦ **პროფესორმა ჯავახიშვილმა** წელს პირველად დაიწყო ახალი საგანი, აღმოსავლეთის ფაკულტეტზე კითხულობს „ქართულ სამართლის ისტორიას“. ქართველი სტუდენტები ძლიერ დაინტერესა ამით და საკმაოდ ესწრებიან ლექციას.

✦ **ქართული სამეცნიერო წრე** პეტ. უნივ. არსებული, ამ მოკლე ხანში შეუდგება წრის კრებულის ბეჭდვას, რომელშიაც შევა წრეშივე წაკითხული რეფერატები.

✦ **კოტე ყიფიანის** სასცენო და სალიტერატურ მოღვაწეობის 45 წლისთავი წელს, 28 დეკემბერს შესრულდება. „ქართულ დრამატიული საზოგადოების გამგეობა“ ამ დღეებში იქონიებს მსჯელობას ამ საკითხის შესახებ.

✦ როგორც ამბობენ, სინოდის ობერ-პროკურორის მიერ წარდგენილი კანდიდატები საქართველოს საეგზარხოსო კათედრაზე არ მოიწონეს. უმაღლეს სფერებში გაკვირვებულნი არიან იმით, რომ სიაში შეტანილი არ იყო რიგის არქიეპისკოპოზი იოანე, ბუნებისმეტყველების მაგისტრი, რომელსაც საუკეთესო და ნამდვილ კანდიდატად სთვლიან.

✦ ქუთაისიდან იტყობინებიან, რომ 27 სექტემბერს ნაშუადღევს 2 საათზე შეიარაღებულმა უცნობებმა საკუთარ ავტომობილით მიმავალი, აჯამეთის მამულის პატრონი **მიხრან ანანოვი შეაჩერეს** და შეიპყრეს. უცნობები დატყვევებული ანანოვით მიიმალნენ. ადგილობრივი პოლიციელები მაძებარი ძაღლებით შეუდგნენ ბოროტმოქმედთა აღმოჩენას.

✦ **წვრილ კრედიტის.** საქმეთა საგუბერნიო კომიტეტმა ნება დართო საკრედიტო ამხანაგობანი დააარსონ: 1) ხატის თელეთსა (ტფ. მაზრა), 2) კორდსა (გორის მაზრა) და 3) კაჩაგანში (ბორჩალოს მაზრა). თვითეულ ამხანაგობას ძირითად თანხად 2.000 მან. მიეცემა.

✦ **ბაქოს გრადონაჩალნიკი.** პოლკოვნიკი პ. ი. მარტინოვი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება.

✦ წელს სასნოვიცის (მოგილევის გუბ.) **შინამრეწველობის სასწავლებელი დაასრულა ქ-ნმა ანნა კაპანაძის ასულმა.** ეს იშვიათი მაგალითია, რომ ქართველ ქალს ასეთი დროის შესაფერი დარგი აერჩიოს და შეესწავლოს. მას შეუსწავლია: ქსოვა შალეულისა, ფარჩეულისა, ჩითეულისა და სხვა. ძაფის დამზადება, ჰინჰრისა, კანაფისა, შამბოსაგან და სხვა; ხალიჩების ქსოვა, სამღებრო საქმე და მხატვრობა. ქ-ნი კაპანაძის ასული ამჟამად ტფილისში იმყოფება და შესაფერ საქმის მოლოდინში, კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტთან მუშაობს.

✦ **ბ-ნი თ. თ. კრისტაფოვიჩი** ხილისა და ბოსტნეულობის გამოფენის მომწყობმა საორგანიზაციო კომიტეტმა მიიწვია გამოფენაზე ხილის გახმობის საჩვენებლად. კარგი იქნება, ამ შემთხვევით ისარგებლონ ქართველმა ქალებმა, რომელნიც რაღაც გაუგებარ მიზეზთა გამო საბაღოსნო სასწავლებელში გამართულ კურსებს არ ესწრებოდნენ.

✦ **ხილისა და ბოსტნეულობის მეორე გამოფენა-ბაზარი.** 1-დან 16 ოქტომბრამდე კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება რუსეთის მეხილეობის ამიერ-კავკასიის განყოფილების დახმარებით ტფილისში მართავს ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზარს, რომლის მოსაწყობადაც საორგანიზაციო კომიტეტს მისცეს: მიწათ მოქმედების დეპარტამენტმა 1,000 მან., მეფის მოადგილის საბჭომ-500 მან; ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულომ-100 მან; ტფ. ქალაქის თვითმართველობამ-200 მან; და ტფ. საბირჟო კომიტეტმა-100 მან. გამოფენა-ბაზარი გაიმართება საარტისტო საზოგადოების საზაფხულო სადგომში (მიხეილის ქუჩა, 107). გამოფენის მიზანია: ა) ხილის ნიმუშების გამოფენით უნდა დაიხატოს, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენში დღეს სამრეწველო მეხილეობა, ბ) გამოფენამ უნდა გააცნოს, თუ რა ნაირის ნაწარმოების მიღება შეიძლება ხილის ხელოვნურად დამუშავებით, გ) ხელი უნდა შეუწყოს მომხმარებელთ და მოვაჭრეთა დაახლოვებას მწარმოებლებთან, რათა გაადვილდეს ხილის გასაღება და დ) ხელი უნდა შეუწყოს ხილის პირდაპირ გასაღებას როგორც თვით მწარმოებლის მიერ, ისე საორგანიზაციო კომიტეტის შუამავლობით. გამოფენას ექნება თერთმეტი სხვა და სხვა განყოფილება: 1) მეხილეობა, 2) მევენახეობა, 3) მაღალის ფასის კულტურები, 4) მებოსტნეობა, 5) ხელოვნურად დამუშავებული ხილი და ბოსტნეული, 6) მეღვინეობა, 7) თესლეულობა, 8) სანერგეები, 9) მებაღეობასა და მებოსტნეობაში მიღებული სატეხნიკო იარაღები, 10) ხილისა და ბოსტნეულის ჩაწყობა ჩასაწყობებში საგზაოდ და ადგილობრივ შესანახად და 11) სამეცნიერო და სახელოვნო განყოფილება. გამოფენილი საქონელი ბოლოს გაიყიდება იმ ფასად, რომელსაც დაადებს თვით საქონლის პატრონი.

✦ **შეწირულება.** ვინმე ნ. გ. ტერ-ყაზაროვისამ ქალაქის ივითმმართველობას უმაღლეს სასწავლებლისათვის ანდერძით ფული დაუტოვა. ფულის რაოდენობა ამ დღეებში გამოირკვევა.

✦ **ზელიმხანის მოკვლის გამო.** გამოჩენილ ყაჩაღის ზელიმხანის მოკვლის შესახებ კიდევ შემდეგი ცნობები მოვიდა: ჯარის-კაცთა რაზმმა პორუჩიკ კიბიროვის მეთაურობით ალყა შემოარტყა ერთს სახლს, სადაც ზელიმხანი იყო. ეს იყო ღამის 11 საათზე, სოფელ შალის მახლობლად. ზელიმხანი მაშინვე ეზოში გამოვარდა. მას იმ წამსვე რევოლვერის ტყვია მოარტყეს პატრონტაშში, რომელიც აფეთქდა. მძიმედ დაჭრილი ზელიმხანი ძირს დაეცა და სროლა დაიწყო. ზელიმხანმა დასჭრა: პორუჩიკი კიბიროვი, იუნკერი ზაქარია გეშკოვი და ორი ჯარის-კაცი. ნაშუაღამევის პირველ საათზე ზელიმხანი გარდაიცვალა.

✦ **ტრამვაის გაფიცვის გამო** დაპატიმრებული 13 კაცი უკვე გაანთავისუფლეს ციხიდან. 2 კაცი ამ ერთის კვირის წინად იქმნენ განთავისუფლებულნი. ხოლო თერთმეტი გაანთავისუფლეს 27 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე. ამ თერთმეტის კაცის სათავდებო ფულად ტრამვაის დირექციამ 5,500 მან. წარადგინა. თითოზე 500 მან. ყველა ეს პირნი სამართალში არიან მიცემულნი და სამ-სამის თვის ციხე მოელით სასჯელად. ტრამვაის მოსამსახურეთა და ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულის ბ-ნ რობის შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მოლაპარაკება გუშინ ნაშუადღევის სამ საათამდე გაგრძელდა.

✦ **ექსკურსანტებს,** რომელნიც ამ ზაფხულს ტფილისს ესტუმრენ, ქალაქის გამგეობა დიდის თანაგრძნობით დაუხვდა და ბინებიც უშოვნა. ამას გარდა გამგეობას დაქირავებული ჰყავდა კაცები, რომელნიც მოგზაურთ შესანიშნავ ადგილებს აჩვენებდნენ. ამ ჟამად ქალაქის გამგეობა ექსკურსანტებისაგან ამ დახვედრისათვის მრავალ სამადლობელ დეპეშასა და წერილს იღებს.

✦ **წინამძღვრიანთ-კარის იუბილეზე** დასასწრებლად დღეს, 29 სექტებს, დილით, ტფილისიდან მრავალი ხალხი მიდის. ავტომობილით წინამძღვრიანთ-კარს გაემგზავრებიან: მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, და სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგე დ. ვ. ბეზობრაზოვი. ამას გარდა ეტლებით გაემგზავრებიან საიუბილეო კომიტეტის წევრნი და სხვა და სხვა საზოგადოებისა და დაწესებულების წარმომადგენლნი.

✦ **სამილ წყლის ძებნა...** ლისაურისა და პოპორტის წყაროების გამოსაკვლევად ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული კომისია, წინამძღვარიანთ-კარის იუბილეს გამო, 29 სექტემბრის მაგივრად 1 ოქტომბერს გაემგზავრება. კომისიაში შედიან: თ-დნი ა. ბ. და ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვები, ინჟინრები ქურდიანი, ვაწაძე და მუხარინსკი.

✦ რედაქციამ მიიღო ი. პოლუმარდვინოვის მიერ შედგენილი, „**ხიოს პიესებისა ქართულ ენაზე**“ წიგნში აღნუსხულია ყველა პიესა გადმოთარგმნილი, გადმოკეთებული და ორიგინალური, რომელნიც დაბეჭდილა 1913 წლის 1 ივნისამდე. წიგნი შეიცავს 144 გვერდს და ღირს ორ აბაზად.

✦ რედაქციამ მიიღო აგრეთვე ემილ ზოლას რომანი „**მაღაროებში მომუშავენი**“ (ქვანახშირის მთხრელები) თარგმანი **ი. ავალიშვილისა.** წიგნი შეიცავს 443 გვერდს და ღირს ერთ მანეთად.

✦ **რედაქციამ მიიღო** სასიმღერო ლექსები „დილა“ გალუსტ შიხიანისა, გამოცემა მესამე, წიგნი 32 გვერდს შეიცავს და 10 კ. ღირს.

✦ **ხილისა და ბოსტნეულის გამოფენა-ბაზარი** გაიხსნება 1 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე. გამოფენას გახსნის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტი უგანათლებულესი თ-დი პ. ა. გრუზინსკი. გამოფენა-ბაზრის გახსნამდე გადახდილ იქნება პარაკლისი. მეორე დღეს, 2 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო საზოგადოების სადგომში შეერთებული კრება მოხდება რუსეთის მეხილეობის ამიერკავკასიის განყოფილებისა და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრებისა. კრება აირჩევს გამოფენა-ბაზრის საექსპერტო კომისიის წევრებს და განიხილავს მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილების 1911 წლის მოქმედების ანგარიშსა და სარევიზიო კომისიის მოხსენებას ამ ანგარიშის გამო.

✦ **ჟურნალისტი ლევან ყიფიანი** აგერ მეოთხე თვეა ისევ არამიანცის სახელობის საქალაქო საავადმყოფოში წევს. ავადმყოფი ამ ჟამად თავს კარგად გრძნობს მაგრამ ექიმების აზრით საჭიროა მესამე და უკანასკნელის ოპერაციის გაკეთება.

✦ **ქ. შორის წ. კითხ. გამავრ. საზოგადოების** წარსულის ანგარიშის დაბეჭდა ამ დღეებში დასრულდება. საზოგადო წლიურ კრების მოწვევა ოქტომბრის ბოლო რიცხვებისთვის არის დანიშნული. ერევანში მცხოვრებმა ქართველებმა წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობას წერილობით სთხოვეს, დააარსოს ერევანში საზოგადოების განყოფილება.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის მდივნად** ქალაქის გამგეობამ ი. დ. გულისაშვილი დანიშნა.

✦ **საბირჟო ცნობები.** 28 სექტემბერს პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მან. 25 კაპ., აძლევდნენ—83 მან. 75 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ —82 მან. 65 კ. აძლევდნენ—81 მან. 50 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ., აძლევდნენ—78 მან.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ამიერ-კავკასიის მეღვინეთა და მევენახეთა კრება.** ტფილისში მოწვეულ იქნება ამა წლის 8 ნოემბერს.

✦ **ქალაქის საბჭოს** შემდეგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 30 სექტემბრისთვის. საბჭოს განსახილველი აქვს 20 საქმე, მათ შორის: 1) ლომბარდისა და სააუქციონო დარბაზის გაერთიანების საკითხი, 2) ღედათა მომავალ სასწავლებლის ინსტიტუტისთვის უფასოდ მიწის დათმობის საკითხი და 3) ქალაქის კონტროლის დებულებანი.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების კრება.** რომელიც 27 სექტემბრისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

## სომეხთა ცხოვრება

✦ **სომეხთა კათალიკოსის გეორგ მეშვიდის** სახელწოდების გამო გუშინ ტფ. ვაჭართა მამასახლისმა ა. ნ. მილოვმა ეჩმიაძინში კათალიკოსს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.

✦ გუშინ, 28 სექტემბერს, სრულიად სომეხთა კათალიკოსის გევორგ მე-5-ის სახელობის დღეს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადინეობა არ იყო სომეხთა ყველა სასწავლებელში; აგრეთვე დათხოვნილი იყვნენ მთავრობის სასწავლებელთა სომეხი მოწაფენი. ტფილისის სომეხთა საკათედრო ვანქის ტაძარში ეპისკოპოს მესროპის მიერ გადახდილ იქმნა პარაკლისი კათოლიკოსის სადღეგრძელოდ.

◆ 25 სექტემბერს, სახელმწიფო სათათბიროს წევრმა მ. პაპაჯანიანმა სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო უფროსის სადგომში წაიკითხა ვრცელი მოხსენება ოსმალეთის სომეხთა საკითხის შესახებ. მოხსენებას დაესწრო დიდ-ძალი ინტელიგენცია. მოხსენებამ გამოიწვია საინტერესო კამათი. პაპაჯანიანის მოხსენებამ ოპტიმისტური შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

## სოფლად.

◆ გურიიდან გვატყობინებენ: ექიმი ივ. გომართელი მცხოვრებთა თხოვნით დასთანხმდა, დროებით შეუდგით იაროს დ. ლანჩხუთში და ავადმყოფები მიიღოს. ექიმი უკვე იყო ლანჩხუთში და ხალხს ძლიერ სასიხარულოდ დარჩა ეს ამბავი.

◆ დასავლეთ საქართველოში წვიმები დაიწყო. ეხლა ხალხი შეუდგა ქირნახულის მილაგებას და წვიმები ხელს უშლის.

◆ სოფელ ჯურყვეთიდან გვატყობინებენ, რომ იქაური სოფლის სამართველო სოფლის შუა ადგილიდან ჯუმათის სადგურთან გადაუტანიათ. ხალხი ძლიერ შეუწუხებია ამ გარემოებას, რადგან ძლიერ შორს უხდება სიარული. სოფლელებს ამის გამო საჩივარი აღუძრავთ ქუთაისის საგუბერნიო გლეხთა საკრებულოში.

◆ **ს. ალაგირი.** (თერგის ოლქი) კვირას, 22 სექტემბერს, ქართულ სკოლის მასწავლებლის ნიკოლოზ ხატისკაცის თაოსნობით მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო ერთი ნაწილი აქაური საზოგადოებისა. კრების მიზანი იყო დაარსება ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილებისა. ზემოხსენებულმა მასწავლებელმა, დაწვრილებით განუმარტა წ. კ. ს. მნიშვნელობა რის შემდეგაც ერთხმად მიღებული იქნა დაარსების წინადადება და ყველამ იქვე გადაიხადა საწევრო ფული, თუმცა საჭირო რიცხვი ვერ შესდგა, ვინაიდგან დამსწრეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 20—22 ადამიანს, მაგრამ დარწმუნებული ვართ რომ ახლო მომავალში შევავსებთ წევრთა რიცხვს.

# დღიური

### უწიგნობა

წინა წერილში მე ვამბობდი, რომ ცუდად მომართული პირობების გავლენით ჩვენ ძალზე ჩამოვრჩით თანამედროვე კულტურას, უვიცობაა გამეფებული ირგვლივ, გონებრივი სიმშილობა ჩვენი ცხოვრების საშინელი სენია და ამ სენის განსაკურნებლად თითქმის არა კეთდება რა, ან თუ კეთდება, ძლიერ ცოტა.

დღევანდელ წერილში მე არ მინდა შევეხო არც სკოლებს, არც სხვა ამგვარ ცოდნის გამავრცელებელ დაწესებულებას—მათი არსებობის ყოვლად შეუფერებელ პირობებს, მათ მოუწყობლობას. აქ მინდა ვილაპარაკო წიგნების სიძვირის შესახებ, რომელიც მეტის-მეტად ჰბორკავს და აფერხებს ჩვენს განვითარებას.

წიგნი აუცილებელი და მასთან უძლიერესი საშუალებაა ცოდნის, სწავლა-განათლების გასავრცელებლად. უწიგნოდ არც ერთს კულტურულ დაწესებულებას არ შეუძლია არსებობა; წიგნი ლამპარია, რომელიც ხელში უნდა ეჭიროს სკოლას, თეატრს, სამკითხველოს, ლექტორს, მასწავლებელს. წიგნი ყველაზე მეტად დემოკრატიული, ყველასთვის მისაწვდომი იარაღია გონებრივი საზრდოს მოსაპოებლად. წიგნი იაფი შესაძენია და ამავე დროს მისთვის არ არსებობს სივრცე და დრო, ამინდი და უამინდობა. წიგნი შეუძლია იყიდოს სოფლელსაც და ქალაქელს, ახლობელს და შორეულსაც. წიგნით სარგებლობა შეიძლება ყოველთვის, ვის როდის ეცლება, ენდომება, ეხერხება. გაგონილი და ნახული ხშირად გვავიწყდება, ჰქრება ჩვენის მახსოვრობიდან, წიგნი კი მუდამ მოგვაგონებს ყველაფერს, აცოცხლებს ნაფიქრს და ნაგრძნობს, წიგნი მარადისობის სალაროა.

როცა ჩვენ გვასწავლიან—გვიკითხავენ, გვიქადაგებენ, ჩვენი მდგომარეობა, ასე თუ ისე, პასიურია, უმოქმედოა. სულ სხვაა, როცა ჩვენ წიგნიდან ვითვისებთ რასმე, აქ ჩვენი მოქმედება აქტიურია, ჩვენი მდგომარეობა შემოქმედებითია, ჩვენი შრომა გაორკეცებულია და ენერგია გაძლიერებული. წიგნი არსებითად თვითმოქმედების აღმძვრელია, იგი არკვევს ადამიანის პიროვნებას, აჩვევს დამოუკიდებლობას და თვითშეგნებას.

წიგნი საუკეთესო, უმტკიცესი მეგობარია ადამიანის. წიგნში ვპოვებთ უკეთესი გზის მაჩვენებელს განსაცდელის დროს; წიგნი გვამხნევებს და აღგვადგენს სასოების წარკვეთის ჟამს. წიგნი მოგვაგონებს კაცობრიობის უდიდეს იდეალებს, უსაყვარლეს მისწრაფებებს, გვამცნებს მის იდუმალ ზრახვათ. წიგნების გვერდით უკვდავების სამეფოში ვიმყოფებით და მათის სულიერის გავლენით ვცხოვრობთ. ადამიანის უმაღლესის ცხოვრებით. წიგნშია, რაც კი ღვთაებას უსხეულოს და სხეულიერს შეუქმნია უმშვენიერესი, უკეთილშობილესი, უძვირფასესი და ადამიანს არ შეუძლია შეიძინოს წიგნზე უფრო სატრფიალო საგანძური.

ერთი დიდი ღირსება აქვს კიდევ წიგნს, იგი ყველაზე მეტად თავისუფალია დღევანდელ პირობებში ათასნაირ ზედამხედველისა და მეთვალყურისაგან. წიგნიც ემორჩილება საერთო წესწყობილებას, მაგრამ უეჭველია, რაც უნდა სასტიკი, ფრთხილი ღონისძიება მიიღონ მის წინააღმდეგ, რაც უნდა გაცრან და გაწურონ წიგნის შინაარსი, მისი სრულის დამორჩილება და შეზღუდვა მაინც ყოვლად მოუხერხებელია. წიგნი მეტყველობს, როდესაც არას ამბობს; მისი დუმილი უფრო საშინელია ცის ქუხილზე; მისი შეწყვეტილი სიტყვა დაუსრულებლად ღაღადებს; მისი წერტილი ყუმბარაა, რომელიც მთებს ფერფლად აქცევს და მისი სამი პაწია წინწკალის უკან იმალება უთვალავი თავგანწირული მხედარი. უტყვი მიუკარებელია, მიუვალია, უძლეველი, ხოლო როდესაც მეტყველობს, სამყარო მის ფერხთ ქვეშაა გაწოლილი.

ასეთია წიგნი—ეს უდიდესი, უძვირფასესი, ყველასთვის მისაწვდომი საშუალება ცოდნის, აზრის, გრძნობის გასავრცელებლად, გასამტკიცებლად. სამწუხაროდ, ჩვენში არაა შეგნებული წიგნის მაღალი ღირსება; წიგნს არ აქვს ჯერ ჩვენში მოპოვებული პატივისცემა, წიგნს არავინ აფასებს, როგორც საჭიროს, იგი არ უყვართ. რატომ ხდება ეს? რაა მიზეზი, რომ ხშირად იმდენს ვლაპარაკობთ ჩამორჩენის შესახებ, საჭირო ცნობების გაუვრცელებლობისა, ხალხის მოუმზადებლობის შესახებ და სრულებით არ ვფიქრობთ, არ ვცდილობთ წიგნების გაიაფებას, გამოცემას, გავრცელებას?

გასაოცარს, არა სანუგეშო სურათს წარმოადგენს ქართული წიგნის დღევანდელი ბაზარი. წიგნი იბეჭდება ძლიერ ცოტა და რაც იბეჭდება, საღდება ათობით და ასობით. საკმარისია გავსინჯოთ მარტო წ.-კ. საზოგადოების წიგნის მაღაზიის ანგარიში რამდენიმე უკანასკნელი წლისა. მაგალითად, ასეთი ხალხური და საინტერესო შინაარსის წიგნები, როგორიცაა ი. ჭავჭავაძის ნაწერები 1912 წლის განმავლობაში გაყიდულა მხოლოდ 150—200 ცალი: „კაცია ადამიანი“ 219, „გლახის ნაამბობი“ 190, „ოთარაანთ ქვრივი“ 152, „დედა და შვილი“ 190, „დიმიტრი თავდადებული“ 233, „განდეგილი“ 174, ლექსები 159; აკაკის ცნობილი „თორნიკე ერისთავი“ გაყიდულა 183 ცალი. ილიას თხზულებანი გამოცემულია ძლიერ იაფად, დაბეჭდილი 1906 წ. მდგომარე წლის პირველ იანვრამდე გაყიდულა: „კაცია-ადამიანი“ 2386 ც.-ი, „გლახის ნაამბობი“ 2353, „დიმიტრი თავდადებული“ 2368 ც სხ. —ერთი წლის განმავლობაში ეკ. გაბაშვილის თხზულება გასაღებულა სულ 240 ცალი, ბესიკის ლექსები 110; ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“, გამოცემული 1908 წელს მდებარე წლის სექტემბრამდე გაყიდულა მხოლოდ 531 ცალი.

მოყვანილი ციფრებიც საკმარისია იმის დასასურათებლად, თუ რა მდგომარეობაშია, დღეს ჩვენში წიგნის საქმე. უარესი დღეს წარმოუდგენელიცაა. დიდი გულუბრყვილობა იქნება, თავი იმით ვინუგეშოთ, რომ ნახევარი საუკუნის წინ ერთი წიგნიც არ იბეჭდებოდა წლის განმავლობაში. წინსვლა რაოდენობით კი არ განიზომება, არამედ შედარებით. თუ სხვების განვითარებამ ასი პროცენტით იმატა და ჩვენმა კი მხოლოდ ათით, ან ოცით, ცხადია, რომ ჩვენ კიდევ უფრო ჩამოვრჩენილვართ. თუ მეზობელი, მეტოქე თუ მტერი, მირბის და ჩვენ ნელის ნაბიჯით მივდივართ, ამ შემთხვევაში განვითარებაზე ლაპარაკი სრულიად მეტია.

უწიგნობა დიდი საზოგადოებრივი უბედურებაა. დროა, სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ამ გარემოებას. შეუძლებელია უწიგნოდ რაიმე კულტურული საქმე მოეწყოს ჩვენში.

**სიტყვა.**

## წინამძღვ.-კარის სკოლის იუბილეს გამო

**პეტერბურგი.** ვულოცავ წინამძღვარიანთ-კარის სკოლას იუბილეს. დე, გაფართოვდეს და გაღრმავდეს მისი სასარგებლო მოღვაწეობა. ქება მის დამაარსებელს, მადლობა განმგრძობთ, ხოლო მასწავლებელ-მოსწავლეთ მრავალჟამიერ.

**იოსებ ყიფშიძე.**

**ბათომი.** ქართ. შ. წ.-კითხვის საზ. ბათომის განყოფ. გამგეობა ულოცავს ძვირფას ილიას მისი პირმშო სკოლის 30 წლ. იუბილეს და უსურვებს მას ხანგრძლივად ჯანმთელ სიცოცხლეს, ქართველ საზოგადოების სასარგებლოდ.

გამგეობის თავმჯდომარე **ელიავა.**

**თელავი.** ქ. შ. წ.-კ. საზ. თელავის განყოფ. გამგეობა ულოცავს წინამძღ.-კარის სამეურნეო სკოლას 30 წლ. იუბილეს; მოწიწებით თავს იხრის მის დამაარსებელთა, განსვენებულთა ილია ჭავჭავაძისა და სტაროსელსკის ხსოვნის წინაშე. გისურვებს თქვენ, ამ სკოლის სულის ჩამდგმელს, დიდხანს სიცოცხლეს, ხოლო თვით სკოლის ნაყოფიერ წინსვლას ჩვენი სამშობლოს მეურნეობის ასაყვავებლად.

**გამგეობა.**

## წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა

დღეს დღესასწაულია ქართველებისათვის და კერძოდ მეურნეთათვის. დღეს წინამძღვარიანთ-კარში იდღესასწაულებენ პირველ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის წინამძღვარიანთკარის სკოლის 30 წლის არსებობას და მასთან იუბილეს სკოლის დამაარსებლის პატივცემულის ილია ივანის ძის წინამძღვრიშვილისას.

ამ ოცდა ათის წლის წინად, როდესაც ჩვენში სრულებით არ იყო შემოსული სასოფლო-სამეურნეო კულტურის ცნობები, ილია წინამძღვრიშვილს უკვე გათვალისწინებული ჰქონდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქართველთათვის სასოფლო-მეურნეობას მომავალში. მას გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე ისიც, რომ მეურნეობის კარგ დონეზე დასაყენებლად საჭიროა შესაფერი ცოდნის შეძენა. ის პრიმიტიული მეურნეობა, რომელიც საუკუნოებით გამეფებული იყო ჩვენში, უნდა შეცვლილიყო ახალი გაუმჯობესებული წესით. ყველა ამისათვის საჭირო იყო ხალხში მეურნეობისადმი სიყვარულის გაღვივება, ნიადაგის მომზადება. საჭირო იყო შესაფერი ცოდნით აღჭურვილ ინსტრუქტორ-აგრონომების აღზრდა, რათა იგინი ჩასდგომოდნენ სოფელს, და საქმით დაენახვებინათ ხალხისათვის თუ რამდენად უმჯობესი და სასარგებლოა პრიმიტიულ კულტურის მიტოვება და მეურნეობის ახალი პრინციპებით წაყვანა. ამასთანავე ამ ინსტრუქტორ-აგრონომებს დახმარება უნდა გაეწიათ ხალხისათვის შესაფერი ცნობების მიღების დროს. იცოდა ყველა ეს ილია წინამძღვრიშვილმა და დაუღალავი ენერგიითა და შრომით შექმნა სასოფლო სამეურნეო სკოლა, რომლის ოცდაათი წლის არსებობის იუბილეს დღეს ვდღესასწაულობთ.

ს. წინამძღვარიანთკარი მდებარეობს საგურამოს იქით, დუშეთის მაზრაში. აქ ილია წინამძღვრიშვილმა დააარსა პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, გადასცა სკოლას საკუთრებად 50 დესეტინა მამული და 30 წლის განმავლობაში მხნედ მიუძღვის საქმეს: საზოგადოებაში ამ სკოლამ დიდი სიყვარული დაიმსახურა და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობაც ყოველ-წლივ აძლევს 5,000 მანეთის დახმარებას.

სკოლა კარგად არის მოწყობილი სასწავლო ნივთებით — რუკებით, ცხოველების „მოდელებით“, სამეურნეო იარაღებით, სხვა და სხვა სახის სკით, თაფლის გამოსახდელი და სახელოსნო იარაღებით.

სკოლასთან არსებობს მოწესრიგებული ბიბლიოთეკა, რომელიც ორ ნაწილად განიყოფება: კაპიტალური, რომელიც 3,447 ტომს შეიცავს (2,468 სახელისას)—3,316 მანეთად ღირებული და მეორე—მოწაფეთათვის: 655 ტომი (325 სახელის). 271 მანეთად ღირებული.

სკოლის მამულში გაშენებულია ვენახი, ამერიკულ ვაზზე დამყნილი, ხეხილის ბაღი, სანერგე, ამერიკული ვაზის სანერგე, ბოსტანი და აგრეთვე შემოღებულია მინდვრის მეურნეობა, სკა და მეაბრეშუმეობა. სკოლასთან არსებობს ღვინის სარდაფი 1/000 ვედრო ღვინისათვის. (მეღვინეობა სკოლაში დაიწყეს 1892 წელს); სარდაფში ინახება შვიდი—ათი წლის ღვინო. აქვე არსებობს სახელოსნოები, სადაც ბავშვები სწავლობენ სხვადასხვა ხელობას.

თვისი მოწყობილობით, მეურნეობით და მოქმედებით სკოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია სოფლის საზოგადოებაში. სკოლის მოქმედებამ, ღვინოებმა, ბაღმა, ბოსტანმა და სანერგეებმა გლეხები დაარწმუნა, თუ როგორ შეიძლება კაცმა დასძლიოს ათასგვარს დაბრკოლებას. გლეხები დარწმუნდნენ, რადგან ნათლად, თვის თვალით ჰხედავდნენ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესობის საუკეთესო საშუალებებს. სოფლელები ძლიერ სწუხან, როდესაც მუშახელის სიმცირის გამო ბავშვებს მოაცდენენ ხოლმე სკოლაში სიარულს.

1889 და 1901 წლის გამოფენებზე სკოლამ მიიღო ორი ვერცხლისა და ერთი ოქროს მენდალი, საქმის საუკეთესო, რაციონალურად დაყენებასა და სასარგებლო მოქმედებისათვის. სკოლამ არამც თუ ჩვენი საზოგადოებისა, არამედ უმაღლესი მთავრობის ყურადღებაც კი მიიპყრო,

30 წლის განმავლობაში სკოლაში სწავლობდა 623 მოწაფე. შეიძლება ბევრს ეს რიცხვი ცოტა ეჩვენოს; მაგრამ ნამდვილად კი ეს ციფრი დიდია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ საზოგადოების ინდიფერენტიზმს სასოფლო-მეურნეობისადმი და შესაფერ სკოლებისადმი; ამ რიცხვიდან 400 მოწაფე გლეხის ბავშები იყვნენ, 121 აზნაურისა, 50—თავადისა, და 39—სასულიერო პირისა, 13 კი—მდაბიო მოქალაქეთა შვილები. ამ ჟამად სკოლაში სწავლობს 153 მოწაფე (148 ქართველი და 5 სომეხი). უმეტესი ნაწილი მოწაფეებისა დუშეთის მაზრის მცხოვრებნი არიან.

ვუსურვებთ სკოლას ზრდასა და გაფართოვებას, ხოლო მის შემწე-მფარველს **ილია წინამძღვრიშვილს** სიცოცხლეს მრავალჟამიერს.

**კორდელი.**

## ს. გურჯაანში არსებული მგალობელთა გუნდი *)

ს. გურჯაანში ეს მეორე წელიწადია ადგილობრივ მთავარ-ანგელოზის ეკლესიასთან დაარსდა მგალობელთა გუნდი ლევან მუღალაშვილის ლოტბარობით. გუნდი შესდგება ქალ-ვაჟთაგან, რომელნიც მწყობრად და სასიამოვნოდ ჰგალობენ საეკლესიო საგალობლებს. თვითონ დამაარსებელი, ლოტბარი ამ გუნდისა, ლევან მუღალაშვილი, თითქმის სულ უსწავლელია, ე. ი. სკოლაში არ უსწავლია, მაგრამ თავისი ნიჭის წყალობით გაუკაფავს ცხოვრების გზა. უმსახურნია ჯარის კაცად, შეუსწავლია ნოტები; შემდეგ მონადიროვის გუნდში ყოფილა მგალობლად; ეს რამდენიმე წელიწადია ადგილობრივ სამრევლო სკოლის გალობის მასწავლებლად არის და გულმოდგინედაც ეკიდება თავის საყვარელ საქმეს. აქ მოთავსებულ სურათში ქალები სამრევლო სკოლის ყოფილი მოწაფეები არიან, რომელთაც სწავლა დაამთავრეს, მაგრამ მის გუნდს არ ჰღალატობენ და ახლაც განაგრძობენ გალობას ღვთის-მსახურების დროს. ვაჟები ცალკე მღერიან აგრეთვე საერო სიმღერებს და ცდილობენ შეისწავლონ მეტადრე ძველი ქართლ-კახური სიმღერები. ადგილობრივი ინტელიგენცია დიდის თანაგრძნობით ეკიდება ამ გუნდს.

**დ. ჯავახიშვილი.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**28 სექტემბერი.**

**რ უ ს ე თ ი.**

**კიევი.** გრუზენბერგი შუამდგომლობს, პოლიციის ოქმი ბეილისის ბინის გაჩხრეკის თაობაზე, გამოქვეყნებულ იქმნას. ზამისლოვსკი აცხადებს, ჩხრეკა მოხდა მე-258 სტატიის ძალით და პოლიციას არ ჰქონდა ამისი უფლება, რადგან გამოძიება უკვე სწარმოებდა, მაგრამ გაჩხრეკის ოქმის გამოქვეყნების წინააღმდეგია, რადგან ოქმი ჩვენების ჩამორთმევის აქტიაო. სასამართლო უარს ეუბნება გრუზენბერგს, მაგრამ აღიარებს, რომ ჩხრეკა მოხდა 22 ივლისს. შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს იუშჩინსკის 14 ამხანაგს. ყველანი ამბობენ, რომ განსვენებული მშვიდი, კარგი ბავშვი იყო, ბევრი ადასტურებს, რომ განსვენებულს არას დროს ჰქონია გრძელი დაჩხვლეტილი ფოთლები ქაღალდისა, რომელიც მღვიმეში აღმოჩნდა განსვენებულის გვამთან. მარიამ და პავლე პუშკები, რომელნიც იუშჩინსკისთან სცხოვრობდა, აჩვენებენ—ბავშვი 12 მარტს დილის 6 საათზე სკოლაში მიმავალი ნახეს. მაძებარ პოლიციის აგენტებმა უთხრეს, ეგ შეუძლებელია, რადგან ანდრიუშა შაბათს მოჰკლეს და ტომარით წაიღესო. აგენტები აშინებდნენ მოწმეებს. აღდგომა დღეს ციხეში იქნებით თუ არ იტყვით, რომ იუშჩინსკი არ გინახავთო. პატარა ყმაწვილმა კონოვალოვმა დაადასტურა, ხშირად ვთამაშობდით ზაიცევის ქარხანასთან, ხანდახან შიგაც შევდიოდითო. მოსამსახურენი გვერეკებოდნენ, ბეილისი კი არასოდესაო. ბრალმდებლის შუამდგომლობისამებრ ბეილისის დაეკითხნენ, ბავშვებს იქიდან ერეკებოდით თუ არაო. ბეილისმა უპასუხა, ლობე არა ყოფილა რა და ყმაწვილები თავისუფლად დადიოდნენო. მე სამუშაო კანტორაში მქონდა, აგურის გაკეთებასთან კავშირი არაფერი მქონია და არც ყმაწვილებს ვერეკებოდიო.

სხდომა ღამის 12 ს. და 15 წ. შესწყდა. მეორე დღეს 11 საათ. და 40 წუთზე კრება განახლდა. პროკურორმა განაცხადა, იბეჭდება დაწვრილებითი სტენოგრაფიული ანგარიში, არ შევეხები იმას, რამდენად სწორედ არის ეს ანგარიში, ამბობს პროკურორი, მაგრამ ანგარიშის დაბეჭვდა, განსაკუთრებით ასეთ დიდის საქმის დროს, როგორიც ბეილისის საქმეა, არღვევს სისხლის სამართლის წესდების მე 633,645 და 649 მუხლებს. ამ მუხლების ძალით მოწმეს უფლება არ აქვს, გაეცნოს სასამართლოს კრების ანგარიშს, და იცოდეს წინა მოწმეების ჩვენება. აქ მოწმეებს სრული საშუალება ეძლევა, გაეცნოს წინა მოწმეების ჩვენების და მთელს პროცესის წვრილმანებსო. ადგილი უნდა, ექმნეს თუ არა ასეთ ანგარიშებს? პროკურორის აზრით არა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს საქმე მსოფლიურია. ნაფიცი მსაჯულები გამოყოფილები არიან და მოწმეები არა. სტენოგრაფიული ანგარიშების ბეჭდვით მუშავდება საზოგადოებრივი აზრი. პროკურორი შუამდგომლობს, მოისპოს ანგარიშების ბეჭდვა. სასამართლო ბრალმდებლის შუამდგომლობას განუხილველად სტოვებს. ზარუდნისა და გრუზენბერგის შუამდგომლობის თანახმად ოქმში შეიტანეს პროკურორის სიტყვები, რომ ამ საქმეს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და საზოგადოებრივი აზრი მუშავდებაო. ოქმში შეაქვთ აგრეთვე, რომ არ დაკმაყოფილეს გრუზენბერგის შუამდგომლობა, ბრალმდებლისთვის პასუხი გაეცა. კარაბჩევსკი სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს შემდეგს გარემოებას; ნაფიც მსაჯულთა მამასახლისი ბრალმდებელს ესაუბრება. სასამართლოს თავმჯდომარე წინადადებას აძლევს მსაჯულთა მამასახლისს—მას მიმართოს, როცა ვისმესთან გამოლაპარაკება სურს. განაგრძობენ მოწმეთა დაკითხვას. მოკლულის ძმა გერშკო ამბობს, ანდრიუშა დადიოდა მასთან შობამდე, მერმე არ მისულა. დედა ამბობდა, ბავშვი ბებიასთან არისო. შემდეგ შეკითხვის დროს მოწმემ სთქვა, ანდრია ამბობდა: ექვსასი მანეთი მაქვს და იმის პროცენტებითა ვსცხოვრობო. შმაკოვს შეკითხვაზე უპასუხა: არც ფაიველ შნეერსონს, არც არონა ბეილისს არ ვიცნობო. მოწმე არენდარი, მამა წინამოწმესი, ადასტურებს შვილის ჩვენებათა დიდ ნაწილს. განსვენებულის ბებია, ნეჟინსკი აჩვენებს: დედას, მამინაცვალს და ნათესავებს ძლიერ უყვარდათ ბავშვი; ანდრია ხშირად რჩებოდა ღამე ნატალია იუშჩინსკისთან, მაგრამ დაკარგვის წინა კვირაში სახლში იყო. დედა და ნათესავები ძლიერ შეაწუხა ანდრიას დაკარგვამ. დაკარგულის გვამის პოვნის შემდეგ მაძებარმა პოლიციელებმა სულ მთლად დასტანჯეს მშობლები. დაკარგულის გვამის პოვნის ამბავი ნათესავებმა რუბანისაგან გაიგეს. ბრალმდებელი ეკითხება: უთხრა თუ არა ანდრიამ, რომ ვილაც ურია მამის ნახვას ჰპირდება. მოწმე უპასუხებს: შეიძლება სთქვა, მაგრამ მას არ ახსოვს. კარაბჩევსკის სურს გაიგოს, მოწმე ამასვე ამბობდა თუ არა, გამოძიების დროს. წაიკითხეს გარდაცვლილ ნატალია იუშჩინსკის ჩვენება. რომელიც ამბობდა: 13 მარტს, კიევში ვიყავი, დასთან ერთად ვეძებთ მთელს დღეს, 13-ში, ბავშვი. გვამის პოვნის ამბავი 12 მარტს რუბანისაგან გაიგო. დამამტკიცებელ საბუთების თაობაზე განაცხადა, განსვენებული ასაწევს არ ატარებდა, ტილოს ნაჭერი, რომელიც განსვენებულის ჯიბეში აღმოჩნდა, იუშჩინსკის ნათესავების სახლში არასდროს უნახავს. განსვენებული ღონიერი ბავშვი იყო, ერთი კაცი ვერც დააკლებდა რასმე. ბრალმდებელი სთხოვს მსაჯულებს მოწმის ჩვენებიდან კარგად დაიხსომონ შემდეგი: მოწმემ ანდრია უკანასკნელად 11 მარტს ნახა, 10 მარტს ხუთი შაური მისცა და ქისა, სათამაშო თოფისა და მოკლე ლურსმანის საყიდლად რომელიც ანდრიამ პარასკევს მოიტანა სამ საათზე. სათამაშო თოფი იყიდა 20 კაპ. და შაური და ქისა თან ჰქონდა. 12 მარტის წინა კვირაში ძმა თედორე ნეჟინსკი და მუშა რუბანი მოწმის სახელოსნოში მუშაობდნენ მთელი დღეობით, შემდეგ რუბან იძინებდა, ხოლო თედორე სახლში ბრუნდებოდა. კარაბჩევსკი შენიშნავს, ვერა ჩებრიაკოვამ გვამის პოვნამდე აცნობა ნატალია იუშჩინსკის. რამდენიმე დღის წინად ანდრიუშა ვნახეო, როდესაც ანდრია მასთან არც ყოფილა. რადგან მოკლულის ბიძას ნეჟინსკის გამომძიებელთან ნაჩვენები აღარ ახსოვს, სასამართლო აქვეყნებს გამომძიებელთან მიცემულ ჩვენებას. ნეჟინსკი შეკითხვებზე უპასუხებს და აცხადებს, ტყუილად დავადევი ხელი გამომძიებელთან ლუკა პრიხოდკოს. აიძულეს მაძებარმა პოლიციელებმა ასეთი ჩვენება მიეცა, ამასთან აგენტი კრასოვსკი შეჰპირდა, სამუშაოს გიშოვნი, თუ მკვლელების აღმოჩენაში ხელს მომიწყობო. თვითონ ლუკა პრიხოდკოზე ეჭვი არას დროს ჰქონია, ხოლო აგენტების შეშინებულმა, ხელი დაადო პრიხოდკოს, რაც სიცრუე იყოო. მაძებარი პოლიციელები ემუქროდნენ სულ არ გაგანთავისუფლებთო, თუ მკვლელს არ დაგვისახელებო. ზამისლოვსკის შეკითხვაზე მოწმე აჩვენებს—ჟულიკებთან ერთად ის გაგზავნეს მკვლელების საძებრად, მაგრამ „ჟულიკებმა“ იქურდეს, იმათთან ერთად მოწმეც დაატუსაღეს და შემდეგ გაასამართლეს. შმაკოვის შეკითხვაზე მოწმე ადასტურებს; ანდრიას მამას ჩირკოვს ანდრიასთვინ და ალექსანდრა პრიხოდკოსთვის ფული არ დაუტოვებია. სიმაკი, რომელმაც ჩირკოვისაგან სახლი იყიდა, აჩვენებს: სამასი მანეთი მეძართა ჩირკოვისა ვექსილით იმ ორასათასი მანეთიდან, რომელიც ზოგი გადაუხადე და ზოგიც ქაღალდის თამაშში გაუბარე. ვექსილის ვალი მოწმემ სხვა და სხვა დროს გადაიხადა ორჯერ ვალის ანგარიშში 75 მანეთი მისცა დედას ბავშვის სასწავლად. მოწმეს რამდენჯერმე უთხოვნია ჩირკოვისთვინ უზრუნველეყო ანდრია, მაგრამ ალექსანდრა პრიხოდკო ეტყოდა ხოლმე, ჩირკოვს შვილისთვის არაფერი დაუტოვებია, რადგან ყველაფერი ალბად გაფლანგაო. ანასტასია ნეჟინსკის, ამ თედორეს ცოლმა, აჩვენა: განსვენებულმა 11 მარტს სთქვა—ხვალ თოფის წამლისთვის წავალ და უფასოდაც ვიშოვნიო. შმაკოვის შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს, განსვენებული ჭკვიანი ბავშვი იყო, ნათესავები და ლუკა კარგად ეპყრობოდნენო. თედორე ორ თვეს იჯდა ციხეში—არ კი იცის რისთვის. პოლიცია ემუქროდი მოწმეს: მანამდე არ გავანთავისუფლებთ შენს ქმარს, ვიდრე კარგს ჩვენებას არ მოგვცემო. ზამისლოვსკის შეკითხვაზე ამბობს, ქმრის დაჭერის დროს მასთან იყო აგენტი ვიგრანოვი, როცა ქმარი გაანთავისუფლეს, მაშინაც მოვიდა. მოწმემ არ იცის, საპოლიციო ნაწილში დაათვრეს თუ არა მისი ქმარი. ბრალმდებელს უპასუხებს ქმართან მეგობრულად სცხოვრობს, ორივენი შრომობენ.

12 მარტს ქმარი ნატალიასთან მუშაობდა, ღამე სახლში იყო. თუ სამუშაო ბევრი ჰქონდა ხოლმე, ნატალიის სახლში დარჩებოდა ღამითაც. ანდრიას დაკარგვის ამბავი კვირას გაიგო. ქმარი და ალექსანდრა პრიხოდკო ეძებდნენ ბავშვს. ვერა ჩებერიაკს ვერა სცნობს. დღეს დიდი შელაპარაკება მოუხდათ ბრალმდებელსა და საქალაქო მოდავეებს დამცველებთან. ბრალმდებელმა განაცხადა: პირველად უხდება ისეთს პროცესში გამოსვლა, სადაც დამცველები ყოველს წუთში ხელს უშლიან და სიტყვას აწყვეტინებენ. შმაკოვი აცხადებს, დამცველების განცხადება პირდაპირ მოსათმენი არ არის. დამცველები უპასუხებენ: ბრალმდებელი ისე შეეკითხება ხოლმე მოწმეს, რომ მოწმის პასუხი კი არ არის არამედ ბრალმდებლისაო. განსვენებულის მამინაცვალი ლუკა პრიხოდკო უამბობს სასამართლოს ყველაფერს, რაც გაუგია დანარჩენ მოწმეებისაგან, 12 მარტიდან მოყოლ

*) იხ. დღევანდელი სურათებიანი დამატება.

ვიდრე 24 მარტამდე, როდესაც მოწამე ცოლიანად დაატუსაღეს. ამ დღეს მიცვალებული საფლავისთვის უნდა მიებარებინათ და ისინი კი ციხეში ჩასვეს. ციხეში ტუსაღს ლანძღავდნენ, სახლში მიშრუკმა დაამტვრია მკაფი. 13 დღის შემდეგ გაანთავისუფლეს, მაგრამ აგენტები ყველგან დაჰყვებოდნენ. 26 ივნისს მოწმე კვლავ დაატუსაღა კრასოვსკიმ, რომელმაც წაიყვანა მოწამე იურკოვიცაში გამოსაცნობად, გრიმი გაუკეთა, ტანისამოსი გამოუცვალა, წვერი მოპარსა და ნახევრად თავი. მოწამეს მივარდებოდა კრასოვსკი მუშტებით და უყვიროდა: „ჩვენ შენ გიცანით, შენ კი არ ტყდებიო?" მეორეჯერ უგრიმოდ. ჩამოართვეს ჩვენება. გამომძიებელს გრიმის გაკეთების ამბავი არ შეუტანია ოქმში, არ ვიცი კი რატომაო. თუმცა ეს მოვახსენე გამომძიებელსაო. 12 მარტს მოწმე მთელი დღე კოლბასოვის სახელოსნოში იყო და მთელი კვირაც იქ დაჰყო, როგორც ამას სხვა დროსაც ჩადიოდაო. როდესაც ამის თაობაზე კრასოვსკის აჩვენეს. სახელოსნოში, აგენტი დაეძუქრა კალბასოვს — 12 წლის კატორღას გაჩვენებო. მოწამეს ანდრია ძლიერ უყვარდა, ვოლდრის უცდენია. როცა დაიკარგა, „კიევსკაია მისლის" რედაქციაში განაცხადა. ბავშვი ელანსკი აჩვენებს, როცა 20 მარტს ამხანაგებთან თამაშობდა, ერთ ერთ ღვიმეში პირველად დაინახა იუშჩინსკის გვამი. მიწაზე სისხლი იყო, იქვე ეყარა რვეულები წარწერით: ანდრია იუშჩინსკი". რვეულის წარწერიანი ხაგლეჯები მოწამეს სამიდლის წინადაც ენახა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, ოადგან ანდრია იუშჩინსკის დაკარგვისა არაფერი იცოდა. მოწამე სეციკიმ, ელანსკის მამინაცვალმა, რომელმაც ეს გვამის პოვნის ამბავი პირველად გაიგო მოწამისაგან, შეატყობინა პოლიციელს. პოლიციელმა ჰეშჩენკომ და მოწამემ გვამი ღვიმეში დამჯდარი, ზურგზე ხელ-დაწყობილი ნახეს. ფეხებთან ქამარი ეგდო. გრუზენბერგის შეკითხვაზე — იცნობს თუ არა ვერა ჩებერიაკს, მოწმემ განაცხადა: დატუსაღებულს ჩებერიაკს ვხედავდი სტარო-კიევის საპოლიციო ნაწილში. იუშჩინსკის მკვლელობის თაობაზე ჩებერიაკმა უთხრა, რომ მას მოგროვილი აქვს ამის თაობაზე მასალა. ისეთი ვინმეც არის, რომელიც ფულს მისცემს გვამის მპოვნელსაო. როდესაც მოწმემ განაცხადა: მპოვნელი აქვე, მის წინ სდგასო, — ჩებერიაკი დაჩუმდა. მოწამეს ეს არ უთქვამს გამომძიებელთან, რადგან არავის უკითხავს ეს მისთვის. ყველაფერი ეს კრასოვსკის აცნობა მოწმემ. ჩებერიაკთან მეტად არ ულაპარაკნია ამის თაობაზე.

12 საათის დასაწყისს კრება დაიხურა.

**ქერჩი.** ზღვაზე ღელვაა.

**რეველი.** ზღვაზე ღელვაა.

**ასტრახანი.** სოფელ ტაკბასკულში გარდაიცვალა ერთი კაცი, რომელსაც შავი ჭირის ნიშნები აღმოაჩნდა.

**კიშენიოვი.** ხოტინის მაზრაში დიდძალი ქვა-ნახშირი აღმოაჩინეს.

**სევასტოპოლი.** იუსტიციის მინისტრი პეტერბურგს დაბრუნდა.

**მოსკოვი.** ქალაქის თავის კანდიდატად დაასახელეს კატური — 63 ხმით, გუჩკოვი — 48 და პატრიკეევი — 30 ხმით.

**კიშენიოვი.** ვილკოვოში, იზმაილის მაზრაში სამი ხოლერიანი კაცი აღმოჩნდა.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერამ ჩრდილოეთში იკლო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირებს, მომავალ წლისთვის ციმბირში გახსნას რამოდენიმე ბედლი გლეხთათვის. გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს, სახაზინო გზების დასაცავად შეიძინოს საკუთრად ქვა-ნახში, რომელიც მზადდება დონეცის ტბაზე.

გარდაცვალებულ პროფესორმა ფოინიცკიმ პეტერბურგის უნივერსიტეტს დაუტოვა მთელი თავისი ბიბლიოთეკა და 45,000 მან. ფულად.

აკადემიკოსი ბეხტერევი სამსახურის ვადის შესრულების გამო სამსახურიდან დაითხოვეს.

დედოფლის სახელობის პრემია სანახევროდ მიეცა პროფესორ ზალესკის თხზულებისთვის: „ბავშვების პატრონობა საზღვარ-გარეთის კანონებსა და პრაქტიკაში" და პროფ. გაგენს: „დასავლეთ ევროპის ღარიბნი".

**ვიტებსკი.** სახელ. საბჭოს წევრად არჩიეს თ... ოსიმოვი.

**ლუგანსკი.** მეარტელეს წაართვეს 25 ათასი მანეთი.

**ვილნო.** სვეტნიცკის გზაზე მომხდარ მძარცველობისთვის მიესაჯათ: ცუკერმანსა და პრედმესკის — ოთხ-ოთხი წლის კატორღა; ორთავე ლევინსონებსა და ვერსოცკის — ოთხ-ოთხი წლის გამასწორებელი რაზმი; დაშილს და ქარნოსენკოს — თითოს 2 წლისა და 8 თვის გამასწორებელი რაზმი, სამიც გაამართლეს.

**უფა.** დაიწვა სკოლა. ზარალი ორას ათას უდრის.

რედაქტორი ა. ჩუმბაძე.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

# განცხადებანი


**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავადღ. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

**მასწავლებელი სიმ. ა. გრიაზნოვი**
ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, სააფთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.
ადრესი.: ვერა, იზმაილოვის მისახვევი სახ. 6. ბინა 8. 584.

**გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი** ფილოლოგი ამზადებს მოწაფეებს სხვა და სხვა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის.
მოლაპარაკება შეიძლება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში დილის 9 ს. 3-მდე. 1501.

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. მგალობლოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერხემლისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღლინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ძ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი სნეულ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. ზურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, სნეულ., ყვავილის აცრა, სისხლის და ნარწყვის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. სადღ... 6—1 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1001 დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.




გონორეის (სუსუნაკის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:
„SALO—პიჩილინ".
სწრაფად და ირსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებით და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.
აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფოსდოლებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 22328. 1038

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება**
შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

| | |
|---|---|
| ბატონიშვილი დავით. მასალები საქართველოს ისტორიისათვის . 1 მ. — | თაყაიშვილი ე. ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ანუ ქართლის მოქცევისა . . . 20 „ |
| ბაქრაძე დიმ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართვ. ტომის დასაწყისზე . . — 15 კ. | — არხეოლოგ. მოგზ. და შენიშვ. 1 მ. — |
| — საქართველოს ისტორია . 1 მ. — | — სამი ისტორიული ქრონიკა 1 მ. — |
| ბროსსე, საქ. ისტორია I . . 70 „ | იოსელიანი გ. ქართველი წმინდანები 40 „ |
| — „ „ II . . 70 „ | იოსელიანი პლ. ცხოვრება გიორგი XIII და საქართ. რუსეთთან შეერთება 1 მ. — |
| ბარათაშვილი, საქ. ისტორ. რვ. I 30 „ | ისარლოვი ლ. ქართველი კათოლიკენი საქართველოში . . 10 „ |
| — „ „ „ II 30 „ | იმერეთის ისტორია . . 30 „ |
| გორგაძე ს. ბაგრატის ტაძარი . 10 „ | კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტორია 20 „ |
| ე. კ. წმ. დავით აღმაშენებელი მეფე ქართველთა . . . 5 „ | — საქართ. მოკლე ისტორია 40 „ |
| ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია . . . 2 მ. — | — საქართველო მე-XII საუკ. 40 „ |
| თამარაშვილი მიხ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის 2 მ. — | — სვიმონ მეფე . . 10 „ |
| | — როსტომ მეფე . . 10 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217



1078

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
**ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები ი. თ. პალატნიკოვისა.**
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესულ-საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ. სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 11) **უცხო ენები:** ფრანგ. და გერმან., 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

მოითხოვეთ ყველგან




მთავარი კანტორა და საწყობი
ვორონცოვის ქუჩა № 2 ...
ტელეფონი № 14/68.

არძევე „შვეიცარია" საკონდიტერო
ლორის-მელიქოვის ქუჩიდან, № 6, გადავიდა გიორგიევის ქუჩაზე № 1, სახლი მირიმანოვისა, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ახლად და მშვენიერად განახლებულ სადგომში: **სანოვაგე ახალი, ხელმისაწვდომ ფასად.** მოგვდის ყველა გაზეთი. 621

**ცინკოგრაფია** წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ **კლიშეების დამზადებას**
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12.
1009

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ჭრა-კერვის აკადემიური კურსები ქალთა და მამაკაცთა **ცანისამოსისა**
ს. პეტერბურგის მკერვალთა საზოგადოებისა.
ნევის პროსპ. 67, ს. პეტერბურგი, ნევის პროსპ. 67
საღამოს მეცადინეობა დაიწყება ამ წლის 20 ოქტომბრიდან. კურსების პროსპექტი უფასოდ იგზავნება. **გამგეობა — ნევის პროსპ. 67, ტელ. 482—30**
№ 13. ჩვენი კურსების წარმატებამ საზოგადოდ და კერძოდ ჩვენი გაუმჯობესებული კოორდინატული სისტემის ნიჭარგებმა ბევრის მხრით მიბაძვა გამოიწვია, ერთს ამათგანს (ვიღაც ქ-ნ ლიდია კარზუნოვისას) ჩვენი სისტემის კოორდინაციისთვის ამ დღეებში ოლქის სასამართლომ **2 კვირის ციხე მიუსაჯა** და დაადგინა: მოსპოს მისი გამოცემული პროსპექტები. 1518

დაიწყო ბეჭდვა და მიიღება ხელის მოწერა შოთა რუსთაველის
**„ვეფხის ტყაოსანზე"**
ეს წიგნი იქნება მე-21-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონი. ტექსტი შემოწმებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე და დართული ექნება საჭირო ვარიანტებიც. რედაქცია ეცდება წიგნმა დააკმაყოფილოს, როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროებაც და მიაწოდოს საზოგადოებასა და სკოლებს საუკეთესო სახელმძღვანელო, ჩვენის სათაყვანებელი მგოსნის შესასწავლად.
წიგნი იბეჭდება ორ-ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უყდოდ და ეღირება 1 მან. და 2) ძვირფასს ქაღალდზე ძვირფასი ყდით — 2 მანეთად.
ვინც კეთილ ინებებს და 10 კვიტანციას გაგვიყიდის, იმას ერთი წიგნი, კარგს ქაღალდზე, ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.
იმ დაწესებულებათა და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს კომისიონერობას, და 10-ზე მეტს გაგვისაღებს, მას მიეცემა მანეთზე 15 კაპ.
ხელის მოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდე, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელის მომწერლებისათვის დასარიგებლად 1 იანვრისთვის.
ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რიცხვით და თუ გადარჩა ხელის მოწერის შემდეგ თავისუფალ ეგზემპლიართა რიცხვი, იმ შემთხვევაში მანეთიანს მიემატება **ათი შაური** და ორ მანეთიანს **ერთი მანეთი.**
მისამართი: Тифлисъ — Авлабаръ, Кабгеровская № 29. Ю. Абуладзе 1495

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.
ВЪ ЛОНДОНѢ.
**ლონდონში**
რადგან ჩვენი ფირმის სახელით გამოდის აურებელი ყალბი ნაწარმოები, ვსთხოვთ პატივცემულ საზოგადოებასა და ვაჭრებს,
**ყურადღება მიაქციონ,**
რომ ჩვენი ფაბრიკის ყველა ნაწარმოებს საქვეყნოდ ცნობილი სავაჭრო ნიშანი აქვთ:
**„მწერალი ამური"** TRADE MARK
და გარდა ნარდათ და ცალ ცალკე მოვაჭრე მაღაზიისა, რომელიც ტ ფ ი ლ ი ს შ ი, გოლოვინის პროსპექტზე, № 9, სამხედრო ტაძრის პირდაპირ იმყოფება,
**საზოგადოებას** სხვა განყოფილება **ტფილისში არ მოეპოვება.**
1508

ოქროს მედალი ოქროს მედალი




**შ პ ა ლ ი ე რ ი**
მოსკოვის საქარხნო საწყობისა
ვლადიმერ ალპატოვისა
GRAHD-PRIX
ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

მივიღეთ საყინულე-მატარებლით პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ. **მეგველოვები.**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9. ტელეფონი № 712.
ამურის წითელი ხიზილალა (კეტოვი), სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა
კოლოფით და ხმელი სოკო. 150

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.